

140  
1986



# კომუნისტი

2  
1986



## საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა

24-25 იანვარს თბილისში მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა. მოსხვენება ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების (შემოთავაზებული ცვლილებებითურთ) პროექტების საკითხთა გამო ვაკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიავიძელმა.

საქართველოს კომუნისტთა ამ დიდ ფორუმზე გაიმართა საქმიანი ბჭობა. ყრილობის დელეგატებმა შეიმუშავეს ვრცელი, შეცნირულად დასაბუთებული პროგრამა, მა ჯერ კიდევ არსებული ზოგიერთი ნაკლისა და სიმაწინჯის აღსაკვეთად, ყველგან და ყველაფერში სამართლიანობისა და წესრიგის დასაცავად, პარტიული, სა-

ხელმწიფო, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, რესპუბლიკის ეკონომიკაში, მთელ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალ თვალსაჩინო წარმატებათა მოსაპოვებლად.

ყრილობამ განიხილა „სრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა“ პროექტი – მომხსენებელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიძე.

ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოსხვენების გამო, რეზოლუციები სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტისა და სკკპ წესდების (შემოთავაზებული ცვლილებებითურთ) პროექტის საკითხებზე.

თბილისი, 1986 წლის 24 იანვარი. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა.

ო. თფრეასი, ნ. ცხომერაშვილისა და მ. დითიაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოტრონიკა)



# მუქარა შეხვედრითავე საქართველოს სახეებს

3 5 3 3 4 6 1 0 2 4 4 2 3

91781



საქართველო მშობელი, ჭალარა და ბრძენი, ჩვენი ტკბილი აკვანი და საძვალე ჩვენი. ცხადში დანახული თუ განაგონი ზღაპრად, ამთავითვე, პატარავ, შეიყვარე მძაფრად. ათას წარღვას გაუძლო, ათას მეხს და რისხვას, ბედთან შეურიგალმა უძველესმა სისხლმა. მედგრად უმკლავდებოდა მტერს, მოხვეულს ჯარად, მისი ქედუხრელობით იამაყე მარად. მამულს შენსას, კაშკაშა ვარსკვლავით მბრწყინავს, ზეცამ შენი სიცოცხლე რახან მოუვლინა. გაუფრთხილდი მის ლამაზ აწყმოსა და წარსულს, ისე, როგორც შეპფერის ქართველის ძეს და ასულს. გზები გაიჩირაღდნე სათნოების ლამაზით — დაიხსომე ანდერძი შენი პაპის პაპის. გაიგონე ყვირილი კურთხეული მიწის, სიყრმიდანვე მიეცი ერთგულების ფიცი.


წიგნი, წიგნი გიყვარდეს უწინარეს ყოვლის, გარჯაშიაც არავის არ დაუდო ტოლი: არას გარგებს მარტოდენ ქადილი და კვენა, შენი ნაღდი ადგილი დაიმკვიდრე ქვეყნად. მეც თუ რამ ვიგალობე, თუ რამ ლექსი ვწერე — მამულს, როგორც შემეძლო, ისე მოვეფერე. და თუ ჩანგი ან კვლავაც უნდა ავთოროლო, მხოლოდ საქართველოსთვის, სამშობლოსთვის მხოლოდ. მაღე შენც დაგანება მხრებზე ქვეყნის ტვირთი, სინამდვილედ; ზღაპარიც, ლეგენდაც და მითიც. ჰოდა, მტკიცედ ატარე, ჰოდა, მედგრად ზიდე, ოღონდ არ ჩაიმუხლო, ოღონდ არ შეშინდე. ოცნებაც და იმედო მშობლიური მხარის, ჯერ მზის თბილი სხივი ხარ და აღმასი მთვარის. გაიზარდე, გაივსე, შენი ბედი ნახე, შუქად შემეტებოდე საქართველოს სახელს.




მანავარი მ. ქლიპაძე

ქაქ. სსრ კ. მარქსის  
საბ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა





ამ მოწარმების ნახაზში გამოტანილი ოსტაძის ნახაზს არ ჩამოშვარება.



ტარები, გონიობი, ბარისა და ჩაქუნის ტარები, გოგონების მიერ შეკერილი საზაფხულო კაბები, ბავშვის ფარულიანი ქუდეები, მგვილის გადასაფარებლები, ხელსახოცები გაეიტანეთ გამოფენა-გაყიდვაზე და მიღებული თანხა — 300 მანეთი მშვიდობის ფონდში ჩაერიცეთ.

მარლან შახინია,  
თბილისი, 77-ე საშუალო სკოლა, კ. ლუბლიძის  
სახელობის რაზმელის საბჭოს თავმჯდომარე.

აქტიურად ჩაეებით ექსპედიციაში — „სსრ კავშირი ჩემი სამშობლოა“. შევისწავლეთ ჩვენი მშობლიური ქალაქის ისტორია თავისი განახლებული ძეგლი უბნებით. ამასთან დაეკავშირებთ შეგვედრა მოეუწყვეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს ირაკლი ციციშვილს და ქალაქის მთავარ არქიტექტორს შოთა ყაულაშვილს.

შორანა ხარაბაძე,  
თბილისი, 61-ე საშუალო სკოლა, ვ. კეკელიძის  
სახელობის მე-11 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

ჩვენს რაიონში მრავალი სახელოვანი აღამაინი ცხოვრობს, ზოგ მათგანს შინ ვეწვიეთ, ზოგიც სკოლაში მოვიწვიეთ რაზმელის შეკრებებზე. შევისწავლეთ მათი ბიოგრაფიები, საქმიანობა, შრომაითი მიღწევები და ამის საფუძველზე შევექმნით ალბომი — „ჩვენი რაიონის სახელოვანი აღამაინები“.

ლევან კვიციანი,  
თბილისი, 59-ე საშუალო სკოლა, შ. გვლიანის  
სახელობის რაზმელის საბჭოს თავმჯდომარე.

# სტრუქტურა საქმიანობა პედაგოგები

რაზმელის ხელმძღვრე ოსტატების მიერ დამზადებული ენიანი და უენო საღამურები, ზორცის დასაკები ხის ჩაქუნები, სარეცხის ამოსაღები საეცეები, თთის-

ჩვენი რაზმელი მგზნებარე რევილუციონერის, მიხეილ ივანეს ძე კალინინის სახელობისაა. ეურნალ „ვოევატის“ დახმარებით დაეუკავშირდით სსრ კავშირის ყველა იმ პიონერულ რაზმელს, რომლებიც მ. ი. კალინინის სახელს ატარებენ და გაეცეანით მათ საქმიანობას.



საბჭოთავო ყაზახხანისა  
XXVII ყაზახხანისა  
საბჭოთავო ყაზახხანისა



**კვიციანი**  
მარტონი  
1926  
ნოემბერი 26

**2 თებერვალი 1986**



წარმატებით დაიბყარით პიონერთა საცემირო მარ-  
შის სამივე სიმბოლე.

მის ვეტერანთა სტენდი, — აი, ჩვენი რაზმეულის ნობა-  
თი პარტიის XXVII ყრილობას.

**სათუნა გველსინინი,**

თბილისი, 51-ე საშუალო სკოლა, მ. ა. კალინი-  
ნის სახელობის მე-8 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

**გიორგი პარპიანიანი,**

თბილისი, 146-ე საშუალო სკოლა, კოშკაშვილის  
50 წლისთავის სახელობის რაზმეულის საბჭოს თავ-  
მჯდომარე.



შევისწავლეთ ჩვენს რაიონში მცხოვრებ ომის მო-  
წაწილეთა და შინმოუსვლელთა ბიოგრაფიები, მათი სა-  
ბრძოლო საქმეები, მოვაწყვეთ შეხვედრები, შევადგინეთ  
რაიონის საბრძოლო დიდების ალბომი.

ჩვენ, ხელოვნების ნორჩმა წარმომადგენლებმა, გავ-  
მართეთ დიდი საზეიმო კონცერტი, რომელიც ჩვენი ქვე-  
ყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს მივუძღვევით. გაღაწყვე-  
ტილი გვაქვს, ყრილობისა და ზამთრის არდადეგების  
დღეებში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში  
გაემართეთ კონცერტები და შემოსული თანხა მშვი-  
დობის დაცვის ფონდში ჩაერიცხოთ.

შედლებისდაგვარად ევხმარებით შინმოუსვლელთა  
მოხუცებულ დედებს.

**სოფიკო ალაშია,**

თბილისის სახელმწიფო ჭრთოვრადიული სასწავ-  
ლებელი, კოტე მღებრიშვილის სახელობის რაზმეუ-  
ლის საბჭოს თავმჯდომარე.

**თინა მირია,**

თბილისი, 75-ე საშუალო სკოლა, ზოია რუხაძის  
სახელობის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

ჩვენი სკოლის მარჯვენაფლანგელი რაზმეული ღირ-  
სეულად ხვდება კომუნისტთა დიდ ფორუმს. აქტიურად  
ჩაეხებით ლაშქრობა-ექსპედიციის — „პარტია ჩვენი მე-  
საქეა“. გავეცანით და შევისწავლეთ ჩვენი შეფის — სო-  
ცულზრუნველყოფის სამინისტროს სასწავლო საწარმოს  
80-იანი წლების კომუნისტთა ცხოვრებასა და მოღვაწეო-  
ბას. მოვაწყვეთ გამოფენა დევიზით — „ჩვენს სწავლას,  
ჩვენს შრომას შენ გიძღვნი, მშობლიური პარტია“.

**ნინო ლომიძე,**

თბილისი, 24-ე საშუალო სკოლა, ზოია კოსმო-  
დემიანჩუკის სახელობის მე-8 რაზმის საბჭოს თავ-  
მჯდომარე.

კარგი სწავლა და სანიმუშო დისციპლინა, „თეთრი  
ფარი“ და „შავი საბადო“ — 7 ტონა მაკულატურა და  
9 ტონა ჯართი, სკოლის შემოგარენში ხეივანი და ყვა-  
ვილნარი, რაიონში მცხოვრები პარტიის, ომისა და შრო-



თ. მ. კოსტოპოლიძის კომპოზიციით  
საქართველოს სსრ-ის მინისტრთა  
საკრებულოს დასრულებული





# ჩვენთვის

წიგნები  
აქვეა

ფიქრი  
თ. აბაგოძის

# საბავშვო



საბავშვო ფიქრი. მისი პირობები ხელს უწყობს ჩვენი  
თავისუფლების დაცვას, მ. შიგნითადაც ვიხსენებთ  
მეგობრულად მოგვარებას.

ზამთრის დროსაც კი ვიხსენებთ ჩვენი  
მეგობრულად მოგვარებას, ახლავე იხილეთ ჩვენი  
საბავშვო ფიქრი, მისი დროსაც კი.

**ქვარაში** ტურისტებს რა გამო-  
ლევს... ჰოდა, ასეთი რამ მიაბეჭ-  
და: როცა აქაურმა მასპინძლებმა ერთ  
უცხოელს, რომელმაც უღანის-  
პირა ქვეყნის მცხოვრებს, ნახე-  
რად ხუმრობით და ნახვარად სე-  
რიოზულად უთხრეს — ჩვენი მიწა  
ისეთია, მარცვლი ხელუფლება რომ  
მოისროლო, წალმა ამოვო, მას გა-  
რემოსთვის თვალი მოუვლია, ხელ-  
ები ფართოდ გაუშლია და, უთქვამს:  
ბედნიერი ხალხი ხართ, ყველაფერი  
თავისით მოვლით, მუშაობა არ  
გჭირდებათ.

ეს ამბავი მახინჯაურში მომხდარა.  
მასპინძლებს აღარაფერი უთ-  
ქვამთ, ჩაიციენს და თავი გადააწე-  
ნის თურმე მხოლოდ. პირველი შე-  
მთხვევა არ ყოფილა ეს და იმიტომ.  
ასეა, სამწუხაროდ, ბევრ შორიდან  
მყურებელს ჰგონია, ვითომ მართ-  
ლაც თავისით ამოდიოდეს, იზრდ-  
ბოდეს და მოსავლს იძლეოდეს  
ლიმონი და მანდარინი, ხურმა და  
ფორთოხალი, ჩაი და დაფნა, მუშ-  
ადა და ტუნჯა...

არა, კარგი და გემრიელი თავი-  
სით არაფერი მოდის, ყველაფერს  
გულმოდგინე, დაუხარული, მუს-  
ჩაუხარული შრომა სჭირდება.

ეს უფროსებმა კი არა, მახინჯა-  
რელმა პიონერებმაც კარგად უწყი-  
ან. მეტიც უწყიან მათ: მუშაობასაც  
სწავლა უნდა, ზუსტად უნდა იყო-  
დ, თუ როდის, რით, როგორ უნ-  
და იმუშაო. ამ „საენის“ მასწავლ-  
ბლები ქემშარტიად ყარებენ ჰყავთ,  
არა მარტო ოჯახში (დედა, მამა თუ  
ძმა), არამედ საბჭოთა მეურნეობასა  
და კომუნურნეობაშიც, რომლებთან-  
აც საშუალო ურთიერთობა აქვთ.  
რებთ. საემის ცოდნა საქმის კეთე-  
ბის პროცესში შეიძინება და უფ-  
რო შორს რომ არ წვაიდეთ, გავიხ-  
სენით, თუ რამდენი ოფლი ღვარეს  
გასულ ზაფხულს სახალხო დოვლა-  
თის გასამდიდრებლად ი. ჭინჭარა-  
ძის სახელობის საშუალო სკოლის  
მეშვიდეკლასელებმა — თ. თურმა-  
ნიძემ, მ. ბაგრატიშვილმა, ი. ქურ-  
იძემ, რ. და ზ. ჭინჭარაძემ, ი.  
ბოლოქაძემ, გ. ჯათამაძემ, რ. ბე-



ახალუზაველი და უმთავრესად მისი ჯიშარა-  
ბის მრეწველი თამაზაბაბაშვილი...

რიძემ და კიდევ ბევრმა სხვამ. აი,  
ციფრები, რომლებიც მათ გულმო-  
დგინებაზე მეტყველებენ: მოკრი-  
ფეს და ჩაბარეს 6000 კილოგრამ-  
ზე მეტი ხარისხიანი ჩაის ფოთო-  
ლი, ძირი შემოუთონეს ასობით  
მანდარინის ხეს (4,8 ჰა ფართობზე),  
გათონეს 3,8 ჰა ჩაის პლანტაცია,  
ჩინი ღდის განმავლობაში ჩვეუ-  
ლით თავგამოდებთ ეხმარებოდნენ უფ-  
როსებს ბოსტნეულის მოსავლის  
აღებაში, შრომითი სემსტრის მან-  
ძილზე თვალისჩინივით უვლიდნენ  
სკოლისათვის გამოყოფილ 1 ჰა ჩა-  
ის პლანტაციას (ვათახნა, სასუქის  
შეტანა, გაყრება, კრეფა...). აი, ამ  
დახურებული საქმიანობის რომ  
დაეწინა იხინი იმ უცხოელ ტუ-  
რისტს, მაშინ არ იტყობა, ყველა-  
ფერი თავისით მოვლით...

ბევრი მათგანი მიაღწევს კიდევ სა-  
წყადესს.  
მახინჯაურის ი. ჭინჭარაძის სახე-



ახალუზაველი პიონერის სკოლის  
ბავშვი საბურთალოს რაიონის  
კალმუხანის ბანის პარკში  
უბრუნდება



ლობის საშუალო სკოლის პიონერული ორგანიზაცია რაიონში კარგ რეპუტაციით სარგებლობს. ამ ორგანიზაციის წევრები საქმიანი, ინიციატივიანი პიონერები არიან. განსაკუთრებული ენთუზიაზმით გამოირჩევიან მარჯვენაფლანგელები — მეხუთე და მეექვსეკლასელი პიონერები. ერთ დავალებას რომ შესასრულებენ, ისინი გულხელდაკავშირებით ერთმანეთს დაეხმებიან. ისინი არ იციან დაძაბვის მოლოდინში, არამედ მამნივე შედეგებს პიონერთა ოთახის კარს და მერს ხელმძღვანელს შემოეხვევიან — საქმეს მოვრჩით და ახლა რაიმე სხვა დაგვაუკუთო, თან იქვე სთავაზობენ ახალ-ახალ იდეებს. ასეთები არიან მეხუთეკლასელები მინანა ახველიანი, ნინო და არჩილ

რმა ისახელა თავი, ჩვენ რამდენიმეს დასახელება ვეცნობო: ია ბერიძე (90 კგ), ლამარა ცისკარიძე (300), რევაზ მახარაძე (210), გოჩა ცისკარიძე (250), ლალი შაინიძე (80), გენადი ზოიძე (220), მზევიანარ კონცელიძე (350)... სულ 10 ტონა თივა შეგროვდა, ეს კი თავადაც ხედებით, არცთუ ისე ცოტაა.

2 ოქტომბერს, საცემირო რადიონახაზე, ყველა რაზმმა აიღო პიონერული სიტყვა და სწორედ მარშის ახალი ეტაპის დღეების („რეგულაციური გეაქვს ნაბიჯები“) შესაფერისი გულმოდინებითა და ენთუზიაზმით აჰყვა დასახულ სიმალღეთა აღმართებს. რაზმელებს და ლენინური გაცვეთილები; პროფ-

ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკემების, საწარმოთა კომპლექსების ელემბთან ერთად იმართება მომავალი პროფესიებისადმი მიძღვნილი საუბრები, ექსკურსიები, დისკუსიები; ემზადებიან და აბარებენ „სპორტული ცვლის“ ნორმებს (დღეობით — „იყავ მზად შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის“); მოწარმოებენ ოპერაცია „ხუთფურცელაში“; თავიანთი წვლილი შეაქვთ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში; ავრობებენ ჯათოსა და მაკულატურას. სხვათა შორის, მარშის მაკულატურაც და ჯართიც მათ გეგმის გადაპარებით ჩააბარეს. წუღს თავიანთ შესაძლებლობებს გადახედეს და მეტი ივალდებულეს — 12 ტონა ჯართისა და 2 ტონა მაკულატურის შეგროვება აქვთ გადაწყვეტილი. და, უმეფლოა, შესასრულებენ კიდევ ნაკისრ ვალდებულებას.

მსხინჯურელი პიონერები ფეხდაფეხ მიჰყვებიან ცხოვრებას. ამის ერთ-ერთი გამოხატულება გახალათ თუნდაც ის, რომ თავიანთ ოთახში მოაწყვეს მშენიერი სტენდი — „ღირსეულად შედეგებით სკვებ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს“. სტენდი მრავლისმეტყველი და მრავალფეროვანია. გარდა ამისა, მსხინჯურის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, ე. ი. ლენინის ძეგლთან, პიონ-



წახიცი  
და —  
ნარბივი  
ჯიონხარაძის  
მეფატილი  
მინიონი  
ისახიცი  
აბრძობა  
პაქარი.

კომინსტრული  
აქციები  
პასუხებს  
სკვებ  
XXVII  
ყრილობებს  
მრავალფეროვანად  
აღმოვს.

ბერიძეები, ირმა ხალვაში, მალხაზ ხოფერია, მეექვსეკლასელები მიახ ხოფერია, ხათუნა გორგილაძე, ია და ცირა ბერიძეები, მიახ თურმანიძე, ზაურ ცენტრაძე და სხვები. მაგალითის ძალა კი, მოგებხსენებთ, დიდა და მეწინავე პიონერებს მამნივე ამოუდებებიან ხოლმე მხარში მათი ამხანაგები.

ასე იყო, მაგალითად, გასული წლის სექტემბერში. ოპერაცია „წიქარა“ გამოცხადდა თუ არა, ატყდა ერთი ფაცაფუცი და მალე დახვდა სკოლის ეზოში ნორჩების მიერ მოზიღული თივა. ამ საქმეში ბევ-



ნერებმა გამართეს მომავალი ყრილობებისადმი მიძღვნილი „წითელი ვარსკვლავის ზეიმი“, რომელსაც ესწრებოდნენ შიფი კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, სამამულო ომის ვეტერანები, ხანშიშესული კოლმეურნეები. საინტერესო ღონისძიება გამოვიდა.

მახინჯაურელმა პიონერებმა იცანა, რომ ქვეყნის მომავალი პატრონები ისინი არიან და ამიტომ აქედანვე ეჩვევიან ყარათიანობას, საზოგადოებრივი ქონების მოვლასა და გაფრთხილებას. საინტერესოა, რომ უფრო „პიონერის“ ფურცლებზე წამოწყებული საღიკუსიო წერილი „ჩემი და ჩვენი“ მთელმა

დერეფნებში, საკლასო ოთახებში, თვალსაყურს ადევნებენ, რომ ვინმე მინა არ ჩამატვიროს, ვერც არ დაჩხანოს, პურს უდიერად არ მოეპყრას, გავკეთილი არ გაუცდინოს. რაზმის მთავარმძარეს, გვიც ავაჩქინებ კარგი „თანამებრძოლები“ ჰყავს — მეშვიდეკლასელები რაზმს აბუსკრიძე, ბადრი შვიცივილი, ნინო ვაბუნია, მეთხევასელი ზვიად ჩაღლიშვილი და სხვები.

საინტერესოა მახინჯაურელ პიონერებთან საუბარი. მართალია, საკლასო მიღწევებზე ხშირად ლაპარაკი მინცდამინც არ უყვართ, მაგრამ თუკი შეეკითხებით, მოგივებინან, არაფერს ღვაძიმალავენ. არადა, მოსაყლი ბეერი რამ აქვთ.

აი, მავალითად: ოთხშაბათი პოლიტინფორმაციის დღეა; მათი პოლიტინფორმაციის ზაურ ცენტრამე ისე კარგად ერკვევა საზინაო თუ საგარეო ვითარებაში, რომ უფროსებზეც კი ინტერესით უსმენენ ხოლმე. სამაგალითოდ მუშაობენ თემურელები. მახინჯაურელები მეგობრობენ ჩეხოსლოვაკიის ლუბოჩინის 9-წლიანი სკოლის მოსწავლეებთან, დნებროპეტროვსკელ პიონერებთან, ქედის რაიონის სოფელ კვარტის ნორჩ თანატოლებთან. საინტერესოა სპორტული მიღწევით გამოიჩინა თავი ნარგოზი ჭინჭარაძე — მისმა განვრთნილმა მიმინომ ამ ორი წლის წინათ (მამის ნარგოზი მესხეთელ კლასში იყო) სამტრედიამო გამარჯვებულ ბაზილითა რესპუბლიკურ საველე შეჯიბრებზე მალაი ჯილდო დაიმსახურა.

ცალკე უნდა გამოიყოს წითელკვლამეობელთა საქმიანობა. მათი მუშაობა რომ მაღალ დონეზე დას, ეს არც არის გასაკვირი, რადგან თვალწინ გვიბრძობისა და ვაცკცობის დაფასების მშვენიერი მაგალითი აქვთ — ამავე სკოლის დირექტორის, სერგო ჭავჭავაძის მშვენიერი წიგნი „სამშობლოს ზეცა ჩემი სახისა“, რომელშიაც დაწერილებითაა მოთხრობილი მახინჯაურელთა საამაყო შვილის, საბჭოთა კავშირის გმირ ისრაფილ ჭინჭარაძის ბავშვობის, უბაუკობის, [დაეკაცების, შრომითი და საბრძოლო გმირობის ის-

ტორია. სკოლაც ისრაფილ ჭინჭარაძის სახელს ატარებს და არა მარტო კერიაა, რომ აქტიური პიონერები ჭეროვან პატრეს მიაგებენ ისრაფილის თანამებრძოლებსა და ომგადახელო თანასაფლავებს — სამხედრო მჭირნავ ნურკი ჭინჭარაძეს (ისრაფილის ბიძაშვილს), დ. მამულაიშვილს, ა. კონკლიძეს, დ. ჭინჭარაძეს, ი. დ. ბერიძეს, დ. გორგილაძეს, მ. ფაღავეს... სკოლის პიონერულ ორგანიზაციის მჭიდრო ურთიერთობა აქვს თანასაფლავ ჰერერანთან — ნ. ბერიძესთან, დ. სამედიკოსთან, ა. ბოცვაძესთან, ხ. ხალვაშთან, ქ. ახვლედიანთან, თ. ხელვაქისთან. ეს ურთიერთობა მარტო მათი ბიოგრაფიის ჩაწერით ან ალბომში ფოტოსურათების ჩაყრით როდი იფარგლება, ვეტერანები ხშირად მოდიან სკოლაში, ესწრებიან ამა თუ იმ ღონისძიებებს, პიონერებზეც ხშირად ეწვევიან ხოლმე მათ, ესმარებთან პირად მეურნეობაში, ინტერესით ისმენენ მათ ნაამბობს.

მახინჯაურელი პიონერები თავიანთი საქმიანობით სამშვიდობო საქმეს ემსახურებიან. — თუნდაც იმიტომ, რომ მათი ბავშვური, მაგრამ გამრჩე ხელებით შეგროვებული თივის თუ მოკრეფილი ჩაის საფასური უყვამანოდ გადარბიებს მშვიდობის ფონდში; თუნდაც იმიტომ, რომ გადწყვეტილი აქვთ, მიმიდინარე წელს კანაშველო ქალაქ მხოზურისკი ერთ კთხებში მოაწერონ ღონისძიებები (ამის თაობაზე ისინი უკვე შეუთანხმდნენ „მხოზურისკი“ დირექციას); თუნდაც იმიტომ, რომ ისწავლან უფრო...

ერთი შეხედვითაც აშკარად ჩანს, რომ მახინჯაურელი პიონერებისათვის ღონისძიებები ერთდროულად საკავშირო მარტის ახალი ერტაის დევნი — „რევოლუციური გავქმის ნაბიჯები“. ეს ის ბავშვები არიან, რომლებმაც კარგად იციან, რა სურათი და რის ძალაც უნდა შესწევთ. ამიტომ, უმუშველთა, ისინი აუცილებლად აიღებენ იმ სიმაღლეს, საითკენაც ასეთი ენათმეცნიერი, ქვეყნობრივ რევოლუციური ნაბიჯებით მომართებიან.



მადარაინის კარვის მადარაინისა. ნამდ მადარაინის კარვის მადარაინისა. ნამდ მადარაინის კარვის მადარაინისა.

რამეულებმა განიხილა. პიონერებმა ბევრი იკამათეს, ისჯელეს და თავიანთი ნაზრევი მაშინვე გაუგზავნეს უფროსს. საერთოდ, ყველაფერიდან ჩანს, რომ ამ სკოლაში კარგად იციან საზოგადოებრივი, საერთო-სახალხო ქონების ფასი. ცხადია, ნაწილობრივ ამანაც განაპირობა „წიორი მილიციელთა რაზმის“ ჩამოყალიბების იდეის დაბადებაც. ამ რაზმის წევრები მორიგეობენ



### მ ი რ რ ი ქ ე ჯ ა ლ მ ა ქ ე

გახატარი თამარ ფხიკია

მ თ ხ რ ო ბ ა

1. ალექსანდრე მასწავლებელმა ორჯერ კიდევ ჩამოურბინა მერსებს, მერე ხელები მაღლა ალაპყრო და დაფსოთან მდგომ მოსწავლეს სასოწარკვეთილებით შეჰყვირა:

— დაწერე, ბიჭო, დაწერე, თუ წერ რამეს!.. სულ აღარ გეჩქარება? გათავდა გაკვეთილი და ვე არის!

სრული სიმართლეთაო, გაივლო გულში ყარამანმა, ნამდვილად არსად არ მეჩქარებო. კაცმა რომ თქვას, მაინც რატომ უნდა ეჩქარებოდეს? მეორე გაკვეთილია, წინაა შესამე, შეოთხე, მეხუთე... აჩქარება რას უშვების?

— არ წერ, ხომ? არც არაფერს ამბობ? — ამოიკვნესა ალექსანდრე მასწავლებელმა.

რა სულსწრაფი ვინმეაო, ფიქრობს ყარამანი გეომეტრიის მასწავლებელზე. თვითონ სად ეჩქარება? სად გარბის? ვინ მოსდევს, რას ბზრილებს ჩიკორივით? კისერი მოგწყდება, მის აქეთ-იქით სირბილს თვალი რომ მიადევნო. დაჯდეს იმ თავის მაგიდასთან, დაწყნარდეს...

გამხლარი, ტანმორჩილი კაცია ალექსანდრე. ყარამანი უკვე ზევიდან დაჰყურებს; სულ რაღაც ერთი წლის წინ კი ქვევიდან შესცივინებდა და შექნაოდა. ახლა ტანიც აიყარა, ხმაც სხვა აქვს, სახისა და თვალების გამომეტყველებაც. ამას მასწავლებელიც აღიარებს. ზრდაში კი ხართ ყოჩადები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჭკუა კი არ გემატებათ, გაკლებათო. ნეტა თუ იცის, რაფიკომ მენუშლა რომ შეარქვა? პირველ სემესტრში ორიანი დაუწერა ბიჭს გეომეტრიაში და „დაზარალებულმა“ ჯავრი ამით იყარა.

— გძინავს, ყარამან? — ჰკითხა მასწავლებელმა, — არაფერს ვიტყვი? გელოდებით, ყმაწვილო...

— ვაბალო, პატივცემულო, კარგად მოიფიქროს.

ეს გიგუცაა, სათვალისანი, ყარამანის მერხის მოზიარე. გეომეტრიის გაკვეთილი მისთვის სასიამოვნო გასეირნებაა. რა უნდა ჰკითხოთ, რომ პასუხი შეგავიანოს. კარგად მოიფიქროსო, იხუმრა ბიჭმა. გვონათ, ცინებდა ვინმეს მის უბიძო სუმრობაზე? თვითონ ფხუყუნებს...

გიგუცას უკან ნათია და რაფიკო სხედან. ნათიას გეომეტრიის სახელძმვანელო გადაუშლია, ყარამანისკენ გამოუშვებია, რაღაც ნინახზე თითი მიუბუჭვინა და ანიშნებს, აპა, წაიკითხე და უპასუხო. ვითომ არ იცის, რა წამიკითხვლი და მოპასუხეცაა ყარამანი.

— ხომ არ გავიწყდება, სასწავლო წელი რომ მთავრ-

# გ ა ჯ ღ ა ბ ე ჯ ა





დება? არ მოგიტანენ სიყვითლე ეს ორიანები, ყმაწვილო...

- ნუ დამიწინე ორიანს, - ეძულარება ყარამანი ალექსანდრე მასწავლებელს. მიიწერა სასწავლო წელი, როდისღა უნდა გამოასწიროს? - შემდეგი გაკვეთილისთვის ყველაფერს გავიშვებო...

- დაბრძანდი, ყმაწვილო.

ყარამანმა ზანტად გასწია თავისი მერხისკენ.

- ყვა-ყვა, ყვანალა! - ჩანჩახვავა ყარამანი რაგიკომ.

- მომიცოდო! - შეუდრინდა ყარამანმა.

- ეს, ყარა-მან, ყარა-მან, - მასწავლებელს ხელში კალამი უჭირავდა, ვურნალს ჩასცქერის, ხმაძალდა ითვის ყარამანის ორიანებს, - ერთი, ორი, სამი, ოთხი... კი, როგორ არა, ყვათია, ყვანალა, ყარა მანი (ყარა თურქულად შავი ყოფილა, მან - კაცი გერმანულად), ესე იგი შავი კაცი. იყავით თქვენ თეთრყირმიზებში, ლამაზებში, სათვალისაწიში, მიწერეთ ორიანები... ყარამანი ყველაფერს აიტანს, გაუძლებს.

- შენ გგონია, მისხარია ამ ორიანების წერა? მაგრამ ინიშობინი რომ არ იგი გვერტერია? ორი სიტყვა მაინც გეთქვა ერთად, ორი სიტყვა... - ჯალამს ხელში ატრიალებს, ხან მარჯვნიდან გახედავს ყარამანის ორიანების მწერს, ხან მარცხნიდან, იჭმუნებდა, სენეშის.

- პატრონად მითხარია... ა, მთელი კლასი გვისმენს. იგი რამე გვერტერია?

ყარამანი აღვა.

- კი ვიცი, კი ვიცი, - კარნახობს რაგიკო.

- ვიცი, - ყოყმანით იმეორებს ყარამანი.

- გისმენ, - ალექსანდრემ კალამი დადო.

- შტატოვზე დამატებული ყვადრატული ღაფა... - კარნახობს გიგუცა.

ყარამანი სიტყვისიტყვით იმეორებს.

- არ თქვა... არ თქვა! - აფრთხილებს შემწეობებულ ნათია.

- ..აიის მენზულა.

- რა? რა? - ალექსანდრე ფაღვზე შედგა.

- ანუ პლანშეტი, - კარნახობს რაგიკო.

- ანუ პლანშეტი, - იმეორებს ყარამანი.

კლასს ტალღასავით გადაღარა აღტაცების შეძახილებმა, სიცილმა, აჰა-იჰ ტანიმ შემოჰკრეს.

- გადო გარეთ, - უთხრა მასწავლებელმა ყარამანს,

- სამასწავლებლისთან დამხვდი, იქ მოველაპარაკებო. ყარამანი გავიდა.

2. ესეც შენი გიგუცა და რაგიკო, შენი განუყრელი, ერთგული მეგობრები, ყარამან.

განუყრელი? დღემდე კი იყვენ განუყრელი, რაც მართალია, მართალია. ასლა კი როგორ წვადა მათი საქმე, არავინ იცის.

არა, ყარამანის ორიანი აქ არაფერ შუაშია. ორიანი ბებერი მიუღია, ამას კარგა ხანია შეეჩვია, ამისთვის მეგობარს როგორ გაიმეტებს.

განუთქმულებს მიზეზი (დროა, გამოცდევით) ალბათ ნათია იქნება.

ეს რამდენიმე თვეა, სამივემ თითქმის ერთდროულად

აღმოაჩინა, რომ ნათიას ძალიან ლამაზი თითები და თვალები აქვს.

ასეთი მოულოდნელი აღმოჩენა მეგობრებს შორისაც კი ზოგჯერ სერიოზულ განუთქმულებას ჩამოაგდებს ხოლმე.

- შენი მეტოქეობის, რაგიკო, დიდად არ მეშინია. მე კი ვარ ყვათიერი შავი (როგორც ზოგიერთს ჰგონია, შენ კი ოდნავ მოთეთრო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. შენც სომ ჩემისთანა ხისთავა ხარ. სამიში გიგუცაა, სათვალისანი გენიოსი, განათლებული, ნაკიხი, ენა-მოსწრებულად და გონებამახვილი.

ასლა ოჯახიშვილობა? მამა მასწავლებელი ჰყავს - ისტორიას ასწავლის. გულბათი პქვია, მაგრამ ჩემ-ჩემად გრავს ძისთან. კომედიებს რომ წერს, იმიტომ. სკოლის დრამაზე ყოველ წელს დავამ მის თითო კომედიას (თავითონ რეჟისორებს). მისი ერთი პიესა ქალაქის თეატრამც კი დადგა. მთელი სკოლა ამაყობდა. ბოლო დროს გამომეღვინდა, რომ გულბათი მასწავლებელი ლექსებსა და პოემებსაც წერს თურმე. ადრე კომედიო-გრავს ეძახდნენ, ასლა მარტო გრავი შერჩა სასულად.

თამარიკო (გიგუცას უფროსი და) მომავალი რეჟისორია. მარმანა დაამთავრა საშუალო სკოლა. თეატრალური ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება, თან თეატრში მუშაობს, მსახიობობს. ასლა თურმე თეატრის მამამისის მოხრდილი პიესის მიხედვით სპექტაკლს ამზადებს, რომელშიც თამარიკოსთვის ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულება მიუხდვიათ.

3. - ყარამან?..

ეს ფოთოლაა, კლასის ხელმძღვანელი, გერმანული ენის მასწავლებელი. შარმან მოვადეა სკოლაში. მათე-კლასულ გოგონს ჰყავს. ნათიანც მაღალი არც კია, მაგრამ ბოკი ხარ და შეუთამამდი! თუ გაჯავრდა, ისეთს დამკიელებს და დაუცხანანებს მოსწავლეებს, ფანჯრები ახანზარდება. ისე კი სულად არაა ბრაზიანი. მენზულასავით კაფანდარაა, სწორედ მისი შესაფერია. ჭორაობენ კიდევ გოგონა, მაღე ჭორილს ვაგჰვეენო. კაცმა რომ თქვას ყარამანს არ ემეტება მენზულასთვის თავისი კლასის ხელმძღვანელი. ფოთოლა მასწავლებელი ნელა დაბაკუნობს დერფანში, ეშოში, ქუჩაში, მშვიდი და წყნარია, ლაპარაკიც ისეთი მშვიდი, დალაგებული იცის; გაკვეთილს რომ ხსენის, ყარამანი ტკბელ ძილურაში ეხვევა. მენზულა კი აწვევტილივით დაქრის, თითქოს ჯადოსნური ქალამნიში აცვიოა. როგორ უნდა შეეყვონ ასეთი ადამიანები ერთმანეთს?

- აქ რას აკეთებ, ყარამან?

- გამომაგდეს, - ჩაიბურტყუნა ყარამანმა.

- ვინ გამოვაგდო?

- მენზუ... ესე იგი, გეომეტრიამ...

- რატომ?

ბიჭმა ისევ ჩაიბურტყუნა რაღაც, ამჯერად სულ მთლად გაუგებარი და გაურკვეველი.

- გამაბიჭებ, რას ამბობ?

- გამომაგდო და რა ვიცი... გამომაგდა და... ორი-



ან მნიჭრდა და გვიგუცამ... მიკარნახა და მეც ვაგიმეორე

და... ფოთოლა მასწავლებელმა მშვიდი ბაკუნით გასწია თავისი კაბინეტისაკენ.

- წამოვი ჩემთან.

უხუბო ენის კაბინეტის კარი გააღო, შევიდა, მაგი-

ღასთან დაჯდა. ყარამანი იქვე დგას, გვერდზე ისე დება.

- რატომ გამოვაგდო გეომეტრიის მასწავლებელმა? ყარამანი ჩაფიქრდა. საიდან დაუწყო?

- მოკლედ მითხარი.

- თუ იცი რამე გეომეტრიაში, თქვიო, მეც ვთქვი.

- რა თქვი?

- მენშულა არის შტატივზე დამაგრებული კვადრატული დღვა-მუთი... მე თვითონ არც კი მახსოვდა, რა იყო მენშულა... გვიგუცამ მიკარნახა, ასე თქვიო.

- დიდი ქვეშევშემა ვინმეა გე მენი გვიგუცა.

- ზევით რომაა, ორი იმდენი...

- ფიცი, - შეაწყვეტინა ფოთოლამ. - რასა პავჯეს, მასწავლებლებს მეტსახელებით რომ ნათლავთ... მაგისტრის შენც მოგახდება და იმ ენაგატლეკილ გვიგუცასაც...

- რაეკოსაც...

- დიას, რაეკოსაც.

ფოთოლა მასწავლებელი ადგა და ბოლთის ცემას მოჰკვდა. ბაკ-ბუკ-ბაკ... ისე წყნარად და მშვიდად და-

ბრეგებდა, ყარამანს ლამის წასთვლიდა. დაეჭეკო, უთხრა მასწავლებელმა ბიჭს. ყარამანი წამით ჩაფიქრდა და გადაწყვიტა დამედარიყო.

- რას აპირებ ახლა შენ. ყარამან, შარშანდღევით უნდა ვეღრიყო შენს მასწავლებლებს, ყარამანს ორამის ნუ გამოაყოლებთ, მეშვიდეში ნუ დამბროვებთ-მუთქი?

- უნდა მოვინდომო მასწ. თორემ მართლაც ცუდად მაქვს საქმე.

- ასე გაიძახი შენ კარგა ხანია.

- ახლა ნამდვილად მოვინდომებ...

კი დაჰპირდა, მაგრამ იყო შემსრულებელი? ამას თვითონაც მეტისმეტად ეჭვობდა. არა, ნამდვილად არ ჰქონდა თავის იმედი. რამდენჯერ გადაწყვიტებდა, აი, ახლა ჩავუჯდები წიგნებს, აი, ახლაო, მაგრამ არ ეყო ნებისყოფა. რა ეშველება? როგორ უნდა, ყმაყოფილი ჰყავდეს ფოთოლაც, მენშულაც და გრაფიც; შობობილიც... ყველაში. მართკო ის რად ღირს, ნათია რომ... ნათია რომ იტყვის, წყალში ვადასავადები არც ყარამანი ყოფილაო.

კარი გაიღო და ისტორიის მასწავლებელი შემოვიდა. იდლიაში საქალაღდე ჰქონდა გარჩილი. მაგიდასთან მოვიდა, ყარამანს ახედ-დახედდა. ვაკვირდებოდა რატომ არა ხარო, ჰკითხა. გეომეტრიას გამოუვლიაო, უთხრა ფოთოლამ.

- რას შელაპარაკებ? - შევიცხვალა ვიგუცას მამამ.

- გიჭირს გეომეტრია? რაღა გეშველება, შე სწავალო... დღეს გეომეტრია ვინც არ იცის, წახულია მისი საქმე.

უყვარს ხუმრობა, ზედგამოჭრილი გვიგუცა.

- სხვათა შორის, - თქვა ფოთოლამ, - მართალია, ყარამანი დღასავა, მთავარი დამნაშავე მაინც თქვენი ბიჭი ყოფილა, ბატონო გულბაათ.

- ჩემი ბიჭ? - იყვირა ვრაფმა, - ვიგუცა.

- ვიგუცა, - გუმეორა ფოთოლამ.

- მართლს ამბობ? ერთი ხელში ჩამიყარაღეს!

- ნურაფერს ეტყვი; პატივცემული, - უთხრა ყარამანმა, - ვიგუცა არაფერ შუაშია.

- აკი მიკარნახაო? - მიუბრუნდა ყარამანს კლასის ხელმძღვანელი.

- რა უკარნახა? - დანიტრეტესდა ვრაფი.

- რომ მენშულა შტატივზე დამაგრებული კვადრატული დღვაა.

- იმან ჩუმად ვიკარნახა და შენ ხმამაღლა, ყველას გასაგონად ვამეორე, ხომ?

- დიას, პატივცემული...

- არც შენ ყოფილხარ მთლად მართალი. იდლიდან საქალაღდე გამოიღო და მაგიდაზე დადო. ზელი სათუთად გადაუსვა და ამაყად თქვა:

- შედეგია...

- ახალა? - ჰკითხა ფოთოლამ.

- ძველია. სტუდენტობის დროს დაეწერე. დაკარგული მეგონა. ეს-ესაა ვიპოვე. სასწრაფოდ უნდა დავდგა, მსახიობებს ვეძებ. შენი კლასიც უნდა მომამეგელო.

- აი, მსახიობი, - გერმანული ენის მასწავლებელმა ყარამანს მხედდა.

- ყარამანი? - გრაფი უამუხრად დაიდრიჯა.

- რა, ცუდი ბიჭია?

- ბიჭი კარგია... მაგრამ როლს სწავლა არ უნდა?

- არ ისწავლი, ყარამან? - ჰკითხა ფოთოლა მასწავლებელმა.

- რა ვიცი, - მიუგო ყარამანმა. - ვედეშან... იქნება ვისწავლი.

- არ მწამს მე სათუო საქმე, - თქვა ვრაფმა.

- შეურჩევი ერთი როლი, - უთხრა ფოთოლამ, - მოინდომებს და ისწავლის. ხომ არ შემარცხვენ, ყარამან? სამაგიეროდ შენც... აღუქსანდრესთან შეგარიგებ როგორმე.

არ შევარცხვენო, დაჰპირდა ყარამანი. ერთ როლს როგორ ვერ შეასრულებს? ცაქმა რომ თქვას, ან საქმეში არც შეიღდა ახალია, აქვს გამოცდილება. ორივედ წლის წინათ მისმა კლასმა ერთი პატარა სპექტაკლი დადგა. ერთია თუმცა, ყარამანს იქ საღალაპრო არაფერი ჰქონდა, სცენაზე დააბრეგებდა და თვალს აპირილდავან ვიღაცას დასდევდა. პურტუენ-პურტუენით, ხან მას მოსდევდნენ, ეს იყო და ეს.

4. მამა თეატრში მუშაობს, რეჟისიტორია, დედა - წიგნის მადუნაში. ამის გამოა, მთელი სახლი წიგნებით რომ არის გამოტენილი. მოაქვს და მოაქვს. ხელფასს მართკო ამაზე ხარჯავს. წიგნი ხომ უცნობესესეში განიმა, უკეთესი კაცმა მინ რა უნდა მოიტარებო, ამბობს. კითხვისთვის კი დრო არც მას ორგება, არც მამას. ყარამანი კი პატარაობიდანვე ატაკცემული ყოფილა წიგნებით. რაც უნდა სქველი და შარად შეკრული ტომი ყოფილიყო, ნაკაწრებად აქცევდა თურმე არა უშავსო, თავს ირუებებდა და ქეთვანი, მთავარია, გული (თუ ხელი?) წიგნებისაკენ



რომ მიუწევს. კითხვას რომ ისწავლის, დასახევად გასაფუჭებლად ვეღარ გაიმეტებსო. ეს დროც შოვიდა, ყარამანმა კითხვა ისწავლა და წიგნებს აღარ აფუჭებდა, მაგრამ ვერაფრით ვერ შეაყვარეს მშობლებმა წიგნის კითხვა. დედა ხვეწნითა და შეგონებებით რომ ვერაფერს გახბა, მუქარაზე გადავიდა: არ ჩაგაცემე, არ დაგასურავ, კინოში ან ფეხბურთზე არ გაგიშვებო.

მამა ეუბნება, თავი დაანებე, სომ ხედავ, ამ ბიჭს წალმა ნათქვამი უკულმა ესმისო. რაც თავი მასსოვს, სულ წიგნებს სწრი ცხვირში და ამიტომაცაა, ახლოს რომ არ ეკარებაო. ეტყობა, მართლა უცნაური ვინმე ვარო, ფიქრობს ყარამანი. ამიტომაცაა აღბაო, იმის გაცეობა რომ არ შემიძლია, რასაც ასე თავგამოდებით მიჩრევენ და მძაძლებენო. სომ გავიგებთ უყვარს თევზაობა, მაგრამ ვინმემ რომ უბრძანოს, დაბეჯითებით ურჩიოს, წადი, ითევზავე, წყლის პირას სუფთა ჰაერზე ყოფნა გავამხნევეს და გავახალისებსო, შეიძლება არც კი გაიხედოს მდინარისკენ.

იმ წიგნებს კი, პიეთეანი ასე ბეჯითად და გულდაგულ რომ ეუბნება მალაზიიდან, ობი მაინც არ ეკიდება; გიგუცა კითხულობს, ყარამანის სათვლიანი მეგობარი. გიგუცა სომ ნამდვილი წიგნის ჭიაა. ნეტავი შენ, შენატრის ყარამანს, ამდენი თავისუფალი დრო რომ გაქვს; ვერე რომ ვიყო, რადა დამჩრებოდა მამინ წაუკოთხავიო?

დრო მართლა ბევრი აქვს ყარამანს. საზომივე თავისი აქვს; საკუთარი — ესაა მანძილი ფეხბურთიდან ფეხბურთამდე. ქალაქის სტადიონზე თუ ტელევიზორში ჯერ არც ერთი მატჩი არ დაჩრენია უნახავი. რამდენჯერმე

მეზობელ ქალაქში ან რაიონშიც გაპარულა ფეხბურთის სანახავად. ერთხელ თბილისშიც იყო, მამის ამხანაგები წაყიდნენ მანქანით, პოდა, მოსდა ისე, რომ ნიყო წაიყვანეს და მისი ბიჭიც...

ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს, მისგან მოჭადრაკე გამოეზარდათ.

საჭადრაკო კლუბის გამე, იგივე ჭადრაკის მასწავლებელი, წითური, მსუქანი კაცი იყო. ყარამანს გაუღო, ხელი მოჩიწებით ჩამოართვა, სკამი შესთავაზა. კარგი ბიჭი ვყოლია, პატრონ ნიკოო, უთხრა მამამისს. რამაზი ერქვა, ოსტატობის კანდიდატი იყო, ქალაქისა და რაიონის უცვლელი ჩემპიონი; რესპუბლიკურ პირველობებშიც ხშირად მონაწილეობდა თურმე. მოეწონა ყარამანს რამაზ მასწავლებელი, პირველ რიგში იმიტომ, რომ საოცრად თავაზიანი კაცი იყო დიდანაც და პატარასთანაც. ყარამანი გაფიცვებულნი ინტერესით უსმენდა ხოლმე რამაზ მასწავლებელს. სვლები ადვილად ისწავლა.

ვინიერი მიჭი ყოფილხარო, შეაქო ოსტატობის კანდიდატმა დაშწყვები მოჭადრაკე.

მისამე თუ მითხვე გაცვეთილსთვის რვეული და ფანქარი იქონიეო, უთხრა.





— ტრეული და ფანქარი? — ჰკითხა შემკითხლმა ყარამანმა.

— ჰო, თეორია უნდა ჩავიწერთოთ, — მიუგო მასწავლებელმა.

ეს კი აღარ დაუჯდა ჰეაუმი ახალბედა მოჭადრაკეს. თამაში თუა, თამაში იყოს, თეორიებმა და თეორემებმა თავი სკოლაში მომაბეზრაო, გაიგელო გულში. მეოთხე გაკვეთილზე რვეულითა და ფანქრით შეიარაღებული გამოცხადდა.

— ჭადრაკს ძალიან მდიდარი ლიტერატურა აქვს, — უთხრა რამაზმა გაკვეთილის ბოლოს, — აქედანვე უნდა შეიძინო და შეიფუარო საჭადრაკო ლიტერატურა, უამისოდ წარმავთების მიღწევებზე ტყუილად არ იტყნებო.

დიდი სიხარულით შეხედნენ ამ ამბავს ნიკო და ქვეთვანი. ჭადრაკი ღმერთს სწორედ ჩვენნი ყარამანის გადასარჩენად გაუწვინაო, დაასკენეს. ახლა ბიჭი საჭადრაკო წიგნებს ჩაუყვდება, შეუყვარდება კითხვა, წიგნზე შეშაობა; მერე მხატვრულ ლიტერატურასაც გაუგებს გემოსო... ერთი სიტყვით, ყინული დაიძვრებაო.

იმ საღამოსვე ქალაქის ყველა ბიბლიოთეკა შემოირბინეს და ყარამანს ხუთი თუ ექვსი კარგა სქელი წიგნი მოუტანეს. ჯერ ეს წაიკითხე, დანარჩენს გზადაგზა მოგაშვებლებთო.

ყარამანს არც კი გადაუშლია ის წიგნები. ამ შეწყდა მისი საჭადრაკო განათლება.

ნიკომ გული გაიმაგრა, ერთ დღეს ბიჭს ფოტოაპარატი მოუტანა, ასწავლა გადაღება. ამ საქმეს კარგად რომ დაეუფლები, სურათის დაბეჭდვასაც გასწავლიო, — დაპირდა, მერე წიგნი აიწუა, რომლის ყდაზე მსხვილი ასოებით ეწერა: „ფოტოგრაფიის გაკვეთილები“.

ისვე და ისვე გაკვეთილები! ყარამანმა წიგნი და ფოტოაპარატი კარადის თავზე შემოღო...

5. ყარამანი სკოლიდან მოდიოდა, ცალ ხელში ჩანთა ეჭირა, მეორეში გადაშლილი რვეული. რვეულში თავისი როლი ჰქონდა გადაწერილი.

კითხულობდა, იმეორებდა, იზეპირებდა.

როცა სცენაზე ორი კაცია და ერთ-ერთი შენ ხარ, კიდევ არა უნებს საქმეს. იცო, ის თუ გარეგნდება, შენ უნდა ამოიღო ხმა, უნდა თქვა შენი სათქმელი (თუ გაგახსენდა), მაგრამ ყველაფერი მეტისმეტად როულებდა, როცა იმ ორს სხვებზე შემოგმატებთან სცენაზე. ბიჭი ხარ და მისხვედი, როდის უნდა ჩაერთო საუბარში. სულ ყურებდაცმეტილი უნდა იყო, დაძაბული. რამდენ ხანს უნდა გაძლო ასე? წამით უნებურად რაღაც გაგახსენდება, რაღაც ფიქრი გაგიყოლებს, რაღაცას თვალს მოკრავ, ყურადღება მოგიდუნდება და მორჩა, აირევა ყველაფერი — სცენაზე ვინ რას ლაპარაკობს, ვინ ვის მიმართავს, ვშმაკიც ვერ გაარკვევს.

მოდის ყარამანი სკოლიდან, ხელში რვეული უჭირავს, კითხულობს, იმეორებს, იზეპირებს.

მ წყ ე მ ს ი — ... გაგიადივლედებოდათ მგზავრობა.

თ ე მ ო (სწორედ ეს გახლავთ ყარამანი) — ჩვენ ფე-

ხით სიარული გვერჩიენა.

მ ი ს ო — გამოეკოდა გუნება?

თ ე მ ო — მშვენიერად ვგრძნობ თავს...

მ წყ ე მ ს ი — პატარა ხომ არაა?

გაიგებო რამე? ხომ არ აჯობებდა, რომ პირწმინდად გამეწიეოთ თავის რვეულში ბიჭის მთელი ის ნაწილი, სადაც თვითონაა სცენაზე? მაშინ იქნებ უფრო დაემახ. სოფრებიც, სად რა თქვას და რა გააკეთოს. მაგრამ გრავმა დაიფინა, როდის გადაწერის ერთადერთი წესი ესა. აო, მთელი ბიჭისი გადაწერა ვის გაუაონიაო.

თ ე მ ო — გაგვიმარჯოს! უჰ, მეტს მართლად ვერ დავკვლი!

მ წყ ე მ ს ი — ჩვენს მთას გაუმარჯოს!

თ ე მ ო — მთას გაუმარჯოს?! ცოტა კიდევ დამისხი!

თ ა მ ა ზ ი — ...მივიცით...

თ ე მ ო — ჩვენს მასპინძელს გაუმარჯოს! ჩვენს მთას გაუმარჯოს!

მ ი ს ო — ...ყუღურწავდი.

თ ე მ ო — თოფი უნდა ვისროლო.

თ ა მ ა ზ ი — ...დაიძინე.

თ ე მ ო — მართლად კარგია მთა... სვალ, შეიძლება, მაღლა ავიდე და გადავიხედო.

ეს ვიღაცა თემაო, ცოტა არ იყოს, ჩამოგაგას ყარამანს ხასიათით. წაღმა ნათქვამი მასაც უკვლამა ესმის. მანიცდამანინც იმის გაკეთება უნდა, რასაც უშლიან. ყველის ძიძინება, ნამგზავნი, დღილილი არიან, ამას კი ძილი არ ეკავებ, გარეთ გაიპარება და შეუღამებო თოფს დაუტყებს. შეყვამსება გულს გაუხუტებოთ, თანამგზავრებსაც. მერე ქოხში შემობრუნდება და თავს ასე იმართლებს: რა მოხდა მერე, თოფი ვისროლე, მოშმი ხომ არა, არ დაიძინა და რა მიქნაო?

ეს ამბავი ღამით ხდება. ალბათ ცოტათი სცენასაც ჩამოაბნელებენ, სინამდვილეს რომ დაემსგავსოს. კვას ანთებენ, ჯობის ფარნებსაც. იმ ბინდულნი ნუთუ ვერ მიახებენ ყარამანი, რომ დროდღარო რვეულში ჩაჰკრას თვალი? მაშინ კი ადილად გავა ფონს. გიგუც ანუგეშებს, პირადება, როცა სცენაზე ერთად ვიქნებოთ, ნუ შეგვიმინდება, ყველაფერს ვიკარნახებო. ამ სცენაში გიგუცა მწყნებია, მერე უღვამსს გაიკეთებს და თმის მამად გადაიქცევა, ბოლოს კი მოხრობების როლით გაშლიდის. მისი აზრით, რეპეტიცია გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მაყურებლის წინაშე გამოსვლა. რეპეტიციაზე რეგისორი გვიმოდის ხელსა, ამბობს. იქ კი რეგისორი თავისთვის იქნება, ჩვენ — ჩვენთვის და, როგორც მოვეპირიანება, ისე ავიწყვეტთო.

— ყვა-ყვა-ყვა — მოსმადა უეცრ ყარამანს. მიიხედა ქუჩის ვალდამა, გახვთის კოსკის წინ რაჟიკო და გიგუცა იდგნენ. ყარამანმა თავისი რვეული ჩანთაში ჩააფურა და ქუჩა გადაჭრა.

— ერთ რამეზე დავანძლევდით, — უთხრა რაჟიკომ ყარამანს, — შენ უნდა მოგვეშეგლო... აბა, თუ ვახსოვს, რამდენი გოლი გაიტანა მთორმეტელ მსოფლიო ჩემპიონატში სალვადორელმა ბენსაულამ?

— ბენსულა აღვირელი იყო, შე ჩერჩეტო, — უთხრა ყარამანმა, — არა გრცხვენია მაინც, ფეხბურთზე რომ ლაპარაკობ?..

— ვიგუცს სიცილი წასკდა.

— წავაგე, — აღიარა რაჟიკომ.

ასე შეერქვა რაჟიკოს ბენსულა. არ სწყინდა. პირიქით. სურმოზა ხომ არ იყო, ბენსულას გოლი ჰქონდა გატანილი ისტალიის მსოფლიო ჩემპიონატში.

6. ესეც ასე.

ასლა ხომ დანიანთ, რა ბიჭი ყოფილა ყარამანი, რა მესხიერება ჰქონია? აბა ერთი ფეხბურთზე მოკვარს რა-მეს უყრი, ფეხბურთზე წაიკითხოს, თუ როდისმე დააეჩიყდება!

ამ თემოს როლმა კი ნამდვილად სისხლი გაუშრო, თავბერი აწყვედინა. რატომ იო-ოცგერ მაინც არ კითხულობს დღემ?

წაიკითხა და დაიშვირა კიდევ, რეპეტიციავე კი მაინც ბაიუშვით ზის. თითქოს ყველაფერი ახსოვს, მაგრამ როდის რა თქვას, როდის რა გააკეთოს, არ იცის, ყველაფერი ერთმანეთში ერევა. სხვები აღთას მიდიან, ის — ბალახს.

ასლა მიხვდა, თუ რა შვე დღემი ყოფილან მამის ამ-სანაგები — მსახიობები.

როგორღა ასერხებენ, ახალ-ახალ სპექტაკლებს წყვილ-წყვილად რომ დამკენ? როგორ სწავლობენ, როგორ იმასორებენ ამდენ როლს, როგორ არ ერევიან ერთმანეთში? აშკარაა, განსაკუთრებით ნიჭიერები ყოფილან.

ნიჭიერებიც არიან და მეტიც — ხალისიანი, მხიარული, კეთილი, ენაწყლიანი და გონებაშახვილი. ნიკოს სმირად უთქვამს ცოლ-შვილზე, კმაყოფილი ვარ, საქმე ასეთ ხალხთან რომ მაქვსო.

ყარამანიც კარგად იცნობს მათ — ნიკოს ამხანაგებს. ამას წინათ მდინარეზე წასკდა გაღაწყვიტეს, თვეში დავიჭიროთ და უნა გავაჭოთოთი. ანეკეტი წაიღეს და წაიღებენ. ყარამანიც გაიყოფეს. თვეშიც დავიჭიროთ, უხვც გააკეთეს და ცოტა წაიქეიფეს კიდევ (ყარამანი ლინონათი გაგვიკიპეს). თამაშობდა რეჟისორი — საშუალო ტანის გამბედავი, ლამაზი კაცი, მუდამ რომ ილინება და თალუბი აღერისინად უციმციმებს. გაგვიბით უყვარს ბავშვები. ორმოცის არც კია და სუთი შვილი ჰყავს უკვე ამიტომიდაა აღბთა, ზღაპრებისთვის ჰქვამს რომ კარგავს. რაც ქვეყანაზე პიესად დაწერილი ზღაპარია, ნება რომ მისცე, ყველას თავის თეატრში დადგამს. გვეყოფა ამდენი ზღაპარო, უკვირებენ. სინამდვილე გვირჩევინაო. ის კი გაითამის, ზღაპარზე უფრო ნამდვილი და მართალი ვერ ქვეყანაზე არაფერი დაწერილაო.

ნიკოს ძალიან უყვარს მეზღაპრე რეჟისორი, სულ აქვებს და ავიღებს, აღბთა იმიტომ, როლებს რომ აძლავებს ხოლმე, მასში მსახიობის ნიჭი რომ აღმოაჩინა.

ამ ბოლო დროს ყარამანსაც შეუყვარდა, ერთი სიტყვის გამო, არ დღეს რომ წარმოთქვა, მდინარის პირას,

იმ პატარა ქვიფხუ.

სანამ მსახიობი და რეჟისორი ვაგებდებოდი, ერთხანს დემსაწავლებლობდიო თქვა რეჟისორმა. ბავშვები მაშინ შემიყვარდაო. მაშინ დავარწმუნდი, რომ არ არსებობენ ცუდი მოსწავლეები. თუ არ სწავლობენ და არ გვისმენენ, ჩვენ უფრო მეტი ბრალი გვედება, ჩვენ, უფროსებს, ვიდრე მათ. ტყუობა, ისე ვერ ვუთხართო, როგორც საჭირო იყო. არ სწავლობენ? მაინც უნდა ვასწავლოთ როგორმე; არ გვისმენენ? უნდა მოვასმინინოთ. რატომ უნდა სჭირდებოდეს რაღას აკეთებენ? განა არ უყოფათ ამისთვის ის სუთი-ეჭისი დაძაბული საათი, სკოლაში რომ ატარებენ? თუ შინაც ამდენივე ხანს წიგნებსა და რეკულებს მიეჯავებენ, როდისღა დაისვენონ, გართონ, იკამაზონ? ხომ თითებს სულს გაუსტვით, დაეკარგათ ბავშვობა? სწავლა ბავშვებისათვის ხალისიანი საქმიანობა, დსხვენება, გართობა, თამაში უნდა იყოსო.

აი, კაცი!

ასეთ აზრებს ყარამანი სულთა და გულით მიხვალ-მება და ენერგიულად უჯერს მხარს.

7. ამ პიესაში ნიკო განჯის ხანის, ჯავათის როლს ასრულებს. პართლ-კახეთის სამეფო კარზე გაზრდილმა და დაგვაკაცებულმა ჯავათმა ერეკლე მეფეს უღალატა და იმ ჯალათი აღა-მამამდ ხანის ყურმოჭრილი მონა გახდა. საქართველოს ამოსაგდებად წამოსულ მტარვალს თბილისისაკენ წამოშტვა. გზა-კვლი არ ვცლოდინება თუ რა? ვიპოვ, ეს შაისის საყვარელი კაცი მუდამ თავისი ბატონის კარავთან ტრიალებს და ძაღლივით აქიცივებს კუდს. მარხალია, საღაპარაკო ბეჭრი არაფერი აქვს, მაგრამ რაღა აქვს, სულ ლექსად უნდა თქვას. აი, სწორედ ამან გაუჭირა საქმე ნიკოს. ლექსების ზეპირობა არც მას ეხალისება მაინცდამაინც (ყარამანივით). პიესა ლექსად რამ დააწერიანო, შირაზოს ავტორზე. ნება რომელი ნორმალირი კაცი ნახა, ლექსებით რომ ლაპარაკობდნო. რა უბედურებაა, ერთ სიტყვასაც ვერ ამოაგდებ, ვერც კი გადააადგილებს. აი, ჯავათ ხანი მზრტანებებს წარუთხრა, თან ხელმეშტერული თხუთმეტობოლე წლის ბიჭი მიპგვარა და ეუბნება: პრტმთხუტმე-ნისო დიდი შაიო, მჭეო ირანის (მაშა უცხონდა, სწორედ რომ მუხესავით ბრდღეალებდა ქოსა, დაგვალულ-დაგვაჯული, ასი წლის დედაპირიგით ჩამომჭინარი აღამამამდ ხანი), უღალატისას, როცა ბანაკს შვიდად ექინა, როს უსღველი ჩვენი ჯარი ძალას იტრება დალილდ-მამურალი შორუღლე გზით და ლაშქრობით, როცა ლომგული, უღრკველი ჩვენი მხედრები მშფოთავაე ძილში უკვე ხედავდენენ ურჩ ერკლე ხანს ხელმეშტერულს და დაოქმეულს; მტკიცის მღვრიო ტალუბს ქართველიბის სისხლით შეღებილს, დიდმა აღამამ ჩამაგონა, ავმდგარაყავი და მთავარის შუქზე ვართ გაემეფიო. ამ დროს შევინდენ, კარვებს შორის ვიღაც დაძებრება, ხელი მტაცე და შევიყარო. აჰა, მოგვგავრა. ერკლე ხანის მსტოვარია, არა მაქვს ეჭვიო..“

ხომ შექმლო უბრალოდ ეთქვა, ერთი ბიჭი შევიყარო-

რი, ჩვენს ბანაკში დაძვრებოდა, მგონი, ქართველების მოგზავნილი მსტოვარი უნდა იყოსო?

ნიკო სარკის წინ იდგა ვაჯგიმული, მარცხენა ხელში რკვეული ეჭირა, ლექსი ბოლომდე ჩააგრილა და ქეთევანს დაუძახა (რომელიც სამზარეულოში ტროლეუბა), სივარტე გამოთავდა და, თუ ქვევით ჩასვლას აპირებ, მიყიდე, არ დაგავიწყდესო.

ყარამანი გვერდით ოთახში ფანჯარასთან იჯდა; ქუჩას გაჰყურებდა, ოცნებობდა და ყველაფერი ესმოდა.

დედა — „განთიადი“ მაქვს ერთი კოლოფი, არ მოწვევ?

ყარამანი სმენდა იქცა.

მამა — მოიტა, მოიტა... სად იყო? როდის იყიდე?

დედა — შენ ვაჭარს ჰკითხე.

მამა — ყარამანს?

დედა — დიხს, დიხს... ყარამანს, შენს ოქროს ბიჭს.

გადი და ახლაც იტრაბახე, რაც ფეხბურთელია მსოფლიოში, ზეირად ჩამოთვლისო... თვალის და იყის ახლა. რაღა გიჭირს, მოგესწრო, პაპიროსს ეწვევა. წინსი და-სანახავად ეუვალება, გაკვეთილებს არ სწავლობს... ვიღაც ცუდ ბიჭებშიც დაუნახავთ... როდის გაახელ თვალებს და გამოიხვეჭ ყურებს, ბანდიტი რომ გახდება, კაცს რომ მოკლავს?

მამა — (ხანმოკლე დუმილის შემდეგ) რა ვქნა... რა ეწეა... მოკლა? როგორ მოკლა?

დედა — მოკალი-მთქი, არ მითქვამს... წუთითაც არ შეიძლება ახლა მაგისთვის თვალის მოცილება.

მამა — რა ვქნა, დაგანებო თავი ყველაფერს? ხომ ხედავ, დღეღამე თვატრში ვარ... ათასი საქმე მაქვს... ახლა ეს როლიც მომიტეს...

დედა — თან წაიყვანე... წუთითაც ნუ მოცილებ... მიაბიხ სადმე, თოკით მიაბი. მეგოლინება მაინც, სადაა, ვისთანაა, რას აკეთებს...

მამა — სკოლა? სკოლაში არ გაუშვავთ?

დედა — სკოლის შემდეგ.

8. ნიკო „განთიადის“ კოლოფს ხელში აწვალებდა. ბაღში ისხდნენ, განმარტოებულ სკამზე. ხელმარცხნივ, კინოთეატრის საღმაროსთან ხალხი რიგში იდგა, რაღაც ახალ ფილმს უჩვენებდნენ. მარჯვნივ სასტუმრო მოჩანდა. მათი ბინა აქ ახლოსაა. დედა ახლა თავის მალახიშია, უმცროსი და საბავშვო ბაღშია — ხუთი წლისაა, უფროსი კი ჩაის ტექნიკუმში სწავლობს. ნიკო

ახლასან გამოვიდა თეატრიდან, რეპეტიცია ჰქონდა. ყარამანი სკოლიდან მოდიოდა.

— არ გრცხენია, ყარამანი?

— რა იყო, მამა? — ჰკითხა გაოცებულმა ბიჭმა.

ნიკომ „განთიადის“ კოლოფი შეათამაშა ხელში.

— ეს რაა?

— რა იქნება... სივარტეა.

— რატომ ეწვევი?.. შენს ასაკში... ეს ხომ შესაბამისი, მოგკლავს... დაგაგლახებს და დაგანაივებს... გინდა მოკვდე არ გინდა სიცოცხლე?

— რას ამბობ, მამა! მაგას რა მომწვევინებს... სუნსავერ ვიტან, ნეტა შენც დაანებებდე თავს.

— ოღონდ ნუ მოწვევ და, კაცი არ ვიყო, თუ...

— არც მოწვევ და არც მომწვევია ჩემს დღეში.

— აბა რატომ იყიდე?

— შენთვის, შენთვის ვიყიდე.

ნიკომ ბიჭს თვალბეში ჩახებდა, დააკვირდა.


„ტყუის თუ არა ტყუის“

— როგორ არა, დაგიჯერე ახლავა... ჩემთვის იყიდა ბიჭმა!

არადა, შეატყო ყარამანმა, ნიკოს სჯეროდა ბიჭის ნათქვამი. თვალბეში გაუბრწყინდა სისარულისაგან. ყარამანი სინდისმა შეაწუხა, მაგრამ რა ექნა? არ ჰქონდა სხვა გზა, ჩიხში იყო მომწყვდეული.

— ვიფიქრე, რომ შემოვიღე და ძებნას დაიწყებს, მივცემე, გაეასარებ-მეოქო...

ასეთი განზრახვა განა არ ჰქონია. მამას სულ პატარა რამეც კი ისე ბავშვურად ახარებს, ისე ადვილია მისი გულის მოგება, დღი გულისხმიერება არ გჭირდება, მისი დასაწუქრების სურვილი რომ გაეჩინდეს. მაგრამ ამჯერად ყარამანი ცრუობდა, ისე უსინდისოდ ცრუობდა, ისე ამკარად, რომ შეუძლებელი იყო ნიკო ამას ვერ მიმხვდარიყო. ალბათ ძალიან უნდოდა დაჯერება და იმიტომ იჯერებდა.



— იფიქრე, გავახარებო? — ეკითხება ნიკო, თვალბეში ეშმაკურად უციმციმებს. თავს ისე აწვენებს, თითქოს არ სჯეროდეს. არადა, სჯერა. ყარამანი ამ საქმეში არ მოტყუვდება. კარგად იცნობს ნიკოს.

— როდის იყო, ტყუილს ვამბობდი. — იწყინა ბიჭმა.

— ოჰო, რას ამბობთ! როგორ წამოსდებმა ტყუილი!

— დედას გუფიციები, თუ არ მეყოფოს...





# სახლი

ამ ბავშვების სულში ჩახედვამ ყოველი ჩვენგანი უმარაგ საგანზე უნდა ჩააფიქროს. ადამიანი არასოდეს არ უნდა დარჩეს მარტო, მით უფრო, მარტო არ უნდა დარჩეს ბავშვი, მოზარდი. და აქი არც არიან ისინი მარტონი: დიდ კოლექტივში იზრდებიან, ერთმანეთით და მზრუნველი პედაგოგ-აღმზრდელებით გარემოცულნი. მარტო მათი სამეცადინო და სწავლისგან თავისუფალი საათების საინტერესოდ გაშინაარსებაზე ათობით ადამიანი ფიქრობს... და მაინც... ვანცა და სიმარტოვისა ხშირად არ სტოვებს ამ კედლებს, იგი სხვადასხვა დროს მოდის — დაძინების წინ, როცა დედის თბილ შეხებას არაფერი გირჩენია, ქუჩაში, როცა მამის მხარდამხარ ამაყად მიმავალ შედგრებულ ბიჭს დაინახავ, მასწავლებელთან გულახდილი საუბრისას: მოცის სრულიად მოულოდნელად, სავსებით ულოკოდ... და მხოლოდ ერთი რჩემა საფიქრალი — არამც და არამც არ გაღრმავდეს თითო-ორიოდა, თუნდაც ყველაზე ახალბედი ადამიანის არაკეთილგონიერულობისაგან გაჩენილი გულდაწყვეტის ნაპირი, რომ კვლავ რჩენილ დარჩეს ყოველი ჩვენგანისათვის უმთავრესი — ადამიანებისადმი რწმენა.

და მაინც... ასპინძის ბავშვთა სახლში ყოველი დილა აჭრამულეებული და ათასი ყმაწვილურს საზრუნავით აფორიაქებული თანდება, სახელდახელო რიგი დგება პირსაბანებთან, საძილე ოთახებისა და სააბაზანოების გასასველე-შემოსასველებში, ცხელი ოხშივრით იორთქლება სასადილოს თეჯირმდამა სამზარეულო, პირიაწვიროლი გაუდილი თევზებს, ჭიქებს, დანა-ჩანგალს... სწრაფად, „ჰარისკაუტრი“ კეთილსინდისიერებით სწორდება საწოლებში... თვის საპირაღებლებზე შემდგარნი მსუბუქად დასარილვებენ სამილე ოთახებში, ერთი-ორი წუთით გავა, სანამ ყველა საჭირო ნივთს თავს მოუჭრიან... ცოტა ზნის



შინდინ მისულ წიხილს თარავს ხელდახე დიდი სიხარული სთმუნა.

მერე კი ჩიტების გუნდებით, ბიჭებისა და გოგონების ჭგუფებად დაყოფილები, ხმაურით მიუყვებიან დაბის ცენტრისკენ მიმავალ გზას. სამო-ოთხი საათის მერე შებრუნებული კინოკადრებით მეორდება ის ყველაფერი. ბავშვები გაკვეთილების შემდეგ სახლში ბრუნდებიან, რომ ტანსაცმელი მოიშლიდონ, ისაიდონ, ხვალინდელი გაკვეთილებისათვის მოეზადონ, და იბიტირმავ, რომ სწორედ აქ — „შინ“ არიან ის ადამიანები, რომლებმაც მათი ყოველი წარმატება-წარუმატებლობა პირველებმა უნდა მოიწონონ თუ გაიციონ.

ცხეა ყოველდღე. კოლექტივში ცხოვრება ადამიანს უფრო დემოკრატიულსა და სხვაზე მოფიქრალს ზრდისო და ისინიც, უთუოდ, ასეთები იზრდებიან — ერთმანეთის პირსა და ლხინს ჩაზიარებულნი, ერთმანეთთან — კეთილნი, დაბრკოლებებთან — თამაში ჯერ მარტო სადილის შემდეგ რომ მხას,

სამეცადინო ოთახებში როგორ გაიკრიფებიან საღმზრდელო ჭგუფების მიხედვით და თავ-თავიანთი თაროებიდან როგორ ჩამოიღებენ სახელმძღვანელოებსა და რვეილებს, მათ ორგანიზებულობასა და სწავლისმისურნებებსში ესეც დავარწმუნებს. თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთაც ამხანაგებთან ერთად ესამუშებთ გაკვეთილებს მოზადება. ასეთებისათვის სპეციალური ოთახებია — საღმზრდელო ოთახები, სადაც ეს ყმაწვილები, უმეტესად აღმზრდელების დახმარებით, ინდივიდუალურად მეცადინებენ.

85 ბავშვი ცხოვრობს ასპინძის ბავშვთა სახლში. 85-ვე რაღაც თვისებთა თუ უნარით სხვაზე უფრო გამოჩენული და საინტერესოა. 45 პირნი რეჟისორები, 20 — კომპოზიტორები, 20-ც — ოქტომბრული წითელყვლასხვევიანთა მუშაობას სახლის პიონერული ორგანიზაცია (რახმელის საბჭოს თავმჯდომარე ნონა დავლშვილი) ხელმძღვანელობს, ოქტომბრულთა ჭგუფებს, წესისამებრ, პიონერებზე მეთაურობენ რაც შეეხება კომპოზირებებს, მათ საქმიანობას რახმელის საბჭოსთან არსებული კომპოზირებებთან მუშაობის საბჭო (თავმჯდომარე ზაზა ლაზარაშვილი) განაგებს. სხვა რა... საოცრად ნერვოული პიონერ-ხელმძღვანელი ჰყავთ სახლში — მარინე ნაკაიძე. ბავშვს ვერ დასახელებთ, მარინე ხელმძღვანელთან მუშაობას — კვლავ განუთავის გაფორმებას, სტენდზე სურათების ჩაწებებას ან მასთან საუბრას (მეგობრულს, გულწრფელს — სწორედ ისეთს, მაშინვე ხელმძღვანელმა რომ იცის) რაიმე ერივნოს. მარინე ხელმძღვანელი სხვა-ნაირად მოვიგისმე, დავალებს მოცემავ სხვანაირი, საინტერესო იცის, შეეჭვება — სხვანაირი, ახლა ესეც მიუფიქრა — ადამიანობის, წინთვის სპიტიებზე კოცხლს სუბრბებს უტარებს პიონერებს. თითქმის ყოველ შეხვედრაზე საუბრობენ, ვინ რას სწორად ჩათვლის,



სკოლის ახალი მოწყობილი ეს ორიბინალური სკოლაში დაბარა ჩვირს უხარბეს ვალს.

რას — არა, ვის რას მიუტევენ... თავიდან არც კი იცოდნენ, თუ მარინე ხელმძღვანელი მათ ბავშვურ მსჯელობას ასეთი „სერიოზული“ ყურით ისმენდა, ის კი არა, თურმე მაგნიტოფირზეც იწერდა. მერე, ერთხელაც, მოასმენინა ჩანაწერი. ცოცხალი გამხედილი სჯობია და, ზოგიერთი შეაკრთო კიდევ თავისი შეფასების (ადამიანის სხვადასხვაგვარ საქციელს აფასებდნენ) აგრესიობამ თუ სითამამემ.

ბავშვთა სახლი ერთი დიდი სახლია, საზიარო, მზიარულიც და სევდიანიც, მუდამ სკასავით მოფუთვით, ათასნაირი ზმებით, ყოველ ნაბიჯზე ათობათ ონაგარი ბიჭის მიერ მოწყობილი „მოულოდნელობებით“ სასესე. რაღაცით იგი დღესაც ჰგავს, მუდამ კალთათბილსა და მიტევიბელს, ალერსიანსა და შემბრალებელს. და, რაც მთავარია, სიურპრიზების მოწყობა იცის. ვინმეს დაბადების დღეა, — გადმოიძახებს და მთელი სახლი ერთი კაცივით ფეხზე დგება, მღერის, ცეკვავს, გემრიელ ნამცხვრებს მიირთმევს, მზიარულობს. ვანა მარტო დაბადების დღე, საშუალო სკოლის დამთავრების აღსანიშნავი გამოსაშვები საღამოც სხვაგან რად უნდა გადაგიხადონ, არც ავაღლებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის დღე რჩება უყურადღებოდ — პირველი დამოუკიდებელი, ფეკატური ნაბიჯის გამორჩეული თარიღი...

ვერც კი ახსნი სიტყვით, უფლაფეროვანა მანს სინაზის რა ძაღვებით იცის

დაკავშირება... ამიტომ აქური მეგობარიც სხვაზე უფრო ტყბილი და გამტანია, აქური ტირის... დიდი

ლხინის ერთი მოგონებაც — უფრო მტკივნეული და სასიამოვნო. წლებანდელი სასწავლო წლის პირველ დღეს ახალ შენობაში შეხედნენ ასპინძელი ბავშვები სუფთა, ლამაზი, მზიანი საწოლი ოთახები მიუჩინეს. მარტო საძილო ოთახებში კი არა, დერეფანშიაც იატაკზე ერთბაშად აიკრიფება. ესეც მათი დამსახურებაა — დამლაგებლებს საქმეში გოგონებიც და ბიჭებიც შევლიან. ძალზე კეთილსინდისი-



ღღეს მუშვიდკლასელი გოგონა ახარსიონი ზეიშობა — 14 წლის ვაჟა.



ღღრის მთავალთაგა და პიანინოს ახმინება მტრებთანა ლაქიშვილის, ვალნაჲ მუხაბერისა და მადონ სპირიტუალისთვის.

რად მორიგეობენ. ისედაც, სხვაგანაც და სკოლაშიც, რა სიკეთესაც ნახავენ, სულ თავიანთი სახლის ყოველდღიურობაში უნდათ დანერგონ. აგერ, მყავლა და ლია ზარიძეები და იზო ლევიშვილი. მათი საქმიანობა ოთახი სანიმუშოა სისულთავით. და განა მარტო მათი... მგაჩამ როცა ამ გოგონების ხელით შეკერილი თევის საფეხები ვნახეთ იატაკზე, ოთახის შესასვლელში, ამან ჩვენს მოლოდინს მაინც გადააბურბა.

ბევრი სხვა სიკეთითაც იწონებს თავს ასპინძელ ბავშვთა სახლის ახალი საცხოვრებელი კორპუსი — მშვენიერი საცხოვრებელი ბლოკები აქვს, საძილე, სამეცადინო, საბაზანო, ჰიგიენისა და საპირფარეშო ოთახები... ამას დაუმატებ 50-ადგილიანი სასადილო, სააქტო დარბაზი, პიონერთა ოთახი, ახლახან შემოზიდული ინვენტარი, სიმყუდროვისა და ოჯახურობის განცდას რომ ქმნის. სახლისათვის ასეთი მშვენიერი სახის მისაცემად ბევრი შრომა გასწიეს მისმა დირექტორმა, გამოცდილმა, მთელ ასპინძაში ცნობილმა პედაგოგმა დედუშა კინაძემ, სახლის შეღებმა და... საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომე-



ბაიანიძე, ასპინძელ მოსწავლეთა ყველაზე ახალი მემთხარი — ოთხი ინვალიდი მთრეხი ბიძე.

ლიც თავის წილად ყოველ წელს ფულად დახმარებას უწყევს ასპინძელ ბავშვთა ამ აღმზრდელობით ეკრას. ვარეი იქნებოდა, ამგვარი პერიოდული ყურადღება, თუნდაც სწორი სტუმრობით ან საშფო კონცერტებით გამოხატული, შეზღბული რაიონების — ბოგდანოვიკის, ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის კომკავშირული ხელშეწყობების განაც რომ ეგრამთ აჭაურ ბავშვებს, მით უფრო, რომ ზოგი მათგანი ამ რაიონებიდანაა ჩამოსული. შრომისმოყვარე ბავშვები იზრ-

დებიან ასპინძის ბავშვთა სახლში. თავისუფალ დროს უქმად არ კარგავენ, ხან ვაშლის, ხან ჭანჭურის კრეფაში ეხმარებიან ასპინძის კოლმეურნეობას, ბავშვთა სახლის დამხმარე მეურნეობაშიც ერთგულად მუშაობენ. თავიანთი ხელით მოწყული ხილი და ბოსტნეული ყველაფერს ურჩენენ. ახლა, პიონერთული ფერმა უნდა შეექმნათ და — ხუთი კვრდელია ჩაუსახლებიათ საარდევში. იმედი აქვთ, მოვაპრავლებთ და მერე ჩვენს რაიონში სხვა პიონერბიც მოგვებავენო.

ერთიმეორეზე უფრო მოწადინებული პიონერები ყოფილან ასპინძის ბავშვთა სახლის პავლე მოროზოვის სახელობის პიონერულ რაზმულში. ოქტომბრელთა საქმიანობა სამაგალითოდ უძღვებიან, კომკავშირელებსაც მონივრად უბამენ მხარს. ჭერ მარტო აჭაურ თემურელთა კეთილი საქმიანობის ჩამოთვლას უნდა ერთი ცაიცი. ჩვენ მარტო ერთს ვიტყვით: თმურელები ყურადღებასა და შრომუნეულობას არ აკლებენ ასპინძელ ომის ინვალიდს, მენსიონერ მასწავლებელს გიორგი პერიძეს, კვირაობით მის ეზო-გარემოში ტრიალებენ, უბარავენ, უსხლავენ, — იმის მიხედვით, როდის რაა საჭირო: ზამთრისთვის შემს უმარაგებენ, სახლს ულაგებენ. ბავშვებით ეზოს აგრამთულები, მათი სტუმრობა ყველაფერს ურჩენია მიხუცს.



ბიჭ თაძა, კომპიუტერი მხატვრობა უფრო აღვივლი პი არისო!

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რისოზ.



